



6706660308310
www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №4567073-21
26 აპრილი, 2021 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ბაია ოტიაშვილი

შუამდგომლობის ავტორი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

შუამდგომლობა - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე დროებითი განჩინების მიღება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა დროებითი განჩინების მიღების თაობაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2021 წლის 19 აპრილს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა დროებითი განჩინების მიღება შემდეგი მოთხოვნებით: დაევალოს ა(ა)იპ წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქმედების განხორციელება, რომლითაც ისინი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე უზრუნველყოფენ კანონმდებლობით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებას - აპარატის წარმომადგენლების მხრიდან პანსიონატში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით ეფექტური მონიტორინგის განხორციელება და დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, შესწავლოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინო ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესაბამისობა აღნიშნული კანონის, მათ შორის „საქართველოს რეგლამენტთან - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი“ მოთხოვნებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 აპრილის განჩინებით დადგენილი იქნა ხარვეზი, რომლის შესავსებად მხარეს განესაზღვრა 3 დღის ვადა განჩინების ჩაბარებიდან.


2021 წლის 26 აპრილს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა დროებითი განჩინების მიღება შემდეგი მოთხოვნით:

- დაევალოს ა(ა)იპ წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქმედების განხორციელება, რომლითაც ისინი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე უზრუნველყოფენ კანონმდებლობით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებას - აპარატის წარმომადგენლების მხრიდან პანსიონატში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით ეფექტური მონიტორინგის განხორციელებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ორგანიზაცია გეგმავს სპეციალური მოსარჩელის სტატუსით ძირითადი სარჩელის შეტანასა და ადმინისტრაციული დავის დაწყებას, სადაც მოპასუხეები იქნებიან: 1. საქართველოს მთავრობა, 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 3. ა(ა)იპ წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი. დავის საგანი იქნება ქმედების განხორციელების დავალება - ლიცენზირებულ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების უფლებების დაცვის მიზნით, კერძოდ:

-ადამიანის უფლებების საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოს საადმინისტრაციო დაწესებულებაში მოთავსებულ შშმ ბავშვთა და ყველა ბავშვის დეინსტიტუციონალიზაციის გეგმის შემუშავება და განხორციელება.

-დეინსტიტუციონალიზაციის განხორციელებამდე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატმა, საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის და ტექნიკური რეგლამენტის „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის შესაბამისად მოპასუხეებმა უზრუნველყონ აღნიშნულ პანსიონატში მოთავსებულ შშმ და



ყველა სხვა ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, არასათანადო მოპყრობისგან, თავისუფლების უკანონო შეზღუდვისგან და ბავშვთა უფლებების სხვა სახის დარღვევისგან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შუამდგომლობაში მითითებულია, რომ საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებების კოლექტიურ/სისტემურ დარღვევას, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: საქართველოში 2009-2013 წლებში განხორციელდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა, რომლის მთავარი მიზანი იყო ბავშვთა დენსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს დიდი ზომის ბავშვთა სახლების დახურვას და ბავშვების დაბრუნებას ოჯახებში ან ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ მცირე ზომის სახლებში, აღნიშნული ხარვეზით განხორციელდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს მიერ დაარსებულ ბავშვთა სახლებში, მათ შორის ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინო ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში.

მხარის მითითებით 2021 წლის 15 აპრილს დაფიქსირდა ბავშვთა უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევა, საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ბავშვთა სახლში, რომელშიც მონიტორინგის განხორციელების საშუალება არ მიეცათ, როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენლებს, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკს. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინო ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში ადგილი აქვს, ბავშვთა უფლებების სისტემურ დარღვევებს, მათ შორის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, აღნიშნულის გამო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოცემის თაობაზე და მიაჩნია, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაცია და პროცესი უნდა პასუხობდეს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას საჯარო ხელისუფლებასთან მიმართებაში მისი უფლების ეფექტიან დაცვაზე. ეფექტიანი მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო რეპრესიულ დაცვას, ანუ დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებამდე საჯარო ხელისუფლებამ არ დააყენოს პირადი ან კოლექტიური ფაქტების წინაშე. უფლების დროებითი დაცვა ასევე გულისხმობს უფლების პრევენციულ დაცვას, ანუ მოსალოდნელი ღონისძიებების შედეგების თავიდან აცილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, სასამართლოების მიერ იმ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესებს,

რომლებიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ემსახურება ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას. 29-ე მუხლში განსაზღვრული სარჩელის სუსპენზიური ეფექტი სწორედ უფლების დროებით დაცვას ემსახურება, რომლის მიზანია დაიცვას პირი მმართველობის ღონისძიებების შედეგებისაგან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა ეს მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც დავის საგანია უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, ხოლო როდესაც საქმე ეხება მოსალოდნელ მმართველობით ღონისძიებას - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას ან მოქმედების განხორციელებას ან განხორციელებისაგან თავის შეკავებას - და აქედან გამომდინარე პირის უფლებების მოსალოდნელ შეზღუდვებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პირის უფლების პრევენციული დაცვის მექანიზმი, რომელსაც განსაზღვრავს ამ კოდექსის 31-ე მუხლი, კერძოდ მისი პირველი ნაწილის მიხედვით, განცხადების საფუძველზე, სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლის გამო.

აღნიშნულს გააჩნია პრევენციის დანიშნულება, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მოსალოდნელ საშიშროებას, რაც შეიძლება გამოიხატოს არსებული მდგომარეობის შეცვლაში ან განმცხადებლის უფლების რეალიზაციისათვის ხელის შეშლაში ან გართულებაში. ამასთან, დროებითი განჩინება ფაქტობრივად წარმოადგენს უფლების დაცვის დროებით ღონისძიებას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ნორმის შინაარსიდან ნათელია, რომ სასამართლო უფლებამოსილია (შეუძლია) და არ არის ვალდებული მიიღოს ამგვარი განჩინება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, როდესაც სარჩელის შეტანა თავისთავად არ იწვევს მოსარჩელის უფლების დაცვას და აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება პირის სამართლებრივი მდგომარეობის დასაცავად.

სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი მხარეს აძლევს შესაძლებლობას სარჩელის აღძვრამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინება გამოიყენება ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან სხვა საფუძვლების გამო. ორივე შემთხვევაში

დროებითი განჩინების მიზანი ერთია - დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ისეთი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც შესაძლებელს გახდის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას.

სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შუამდგომლობის ავტორის ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სპეციალური მოსარჩელის სტატუსზე და აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაცია არის დაინტერესებული მხარე, რომელიც ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში. მე-3 პუნქტით - სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები ამ მუხლში მითითებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კოლექტიურ დარღვევას ან სავარაუდო დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი სამომავლო სარჩელის მოთხოვნებს მიმართავს პანსიონატში მყოფ შშმ ბავშვთა და სხვა ყველა ბავშვის დეინსტიტუციონალიზაციის გეგმის შემუშავების, მისი განხორციელებისა და მათი დაცვისკენ, თუმცა სასამართლო ზემოთხსენებული ნორმის საფუძველზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სპეციალური მოსარჩელის სტატუსი გააჩნია მხოლოდ შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით, თუმცა **სხვა ბავშვებთან** მიმართებით შუამდგომლობის ავტორი წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს, წარმოადგინოს მოთხოვნები ადმინისტრაციულ საქმეზე, როგორც დროებითი განჩინების, ასევე სამომავლოდ სარჩელის აღძვრის, ან სხვა რაიმე სახის მოთხოვნით.

როგორც უკვე აღინიშნა დროებითი განჩინებაც, ისევე როგორც ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, ემსახურება გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას და მისი გამოყენებისთვის, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს უნდა შეექმნას რწმენა და ალბათობის მაღალი ხარისხით დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაძნელება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც ცალსახად დაადასტურებს, ა(ა)იპ წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში ბავშვთა უფლებების დარღვევებს. ის ფაქტი, რომ პანსიონატის მხრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არ იქნა დაშვებული დაწესებულების შენობაში, არ შეიძლება გაგებულად იქნას აღიქვას, რომ პანსიონატში ადგილი აქვს ბავშვთა უფლებების სისტემური დარღვევების რაიმე სახის ძალადობას, რაც აუცილებელს გახდის სასამართლოს მხრიდან, საქმის არსებითი განხილვის გარეშე დროებითი განჩინების გამოყენების გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, შუამდგომლობის ავტორის მიერ, საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებს ა(ა)იპ წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა არსებობის შესახებ ინფორმაციას.

ამასთან, სამომავლოდ აღსაძრავი სარჩელის მოთხოვნები უნდა იყოს ნათელი, მკაფიო და კონკრეტული მოპასუხისკენ მიმართული, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის, ვინაიდან შუამდგომლობაში მითითებული სასარჩელო მოთხოვნები არის ზოგადი ხასიათის, ბუნდოვანია თუ რა კონკრეტული მოთხოვნა აქვს შუამდგომლობის ავტორს თითოეული მოპასუხის მიმართ, რაც ბუნდოვანს ხდის, როგორც სარჩელის აღძვრის მიზანსა და მის პერსპექტივას, ისე დროებითი განჩინების აღნიშნულ ეტაპზე დაკმაყოფილების აუცილებლობას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ იქნა საკმარისად დასაბუთებული და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული სადავო ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების აუცილებლობა, რაც დროებითი განჩინების მიღების აუცილებლობას დაადასტურებდა. ამდენად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ უარი უნდა ეთქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 31-ე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
2. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) 12 დღის განმავლობაში განმცხადებლისთვის განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან, რის შემდეგაც კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7ა).

მოსამართლე:



ბაია ოტიაშვილი